 ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №0300/10/367

ქ. თბილისი "30" თებერვალი 2012 წელი

"სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა და "გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის" მოთხოვნათა შესაბამისად

ერთის მხრივ, შპს "თბილისის სატრანსპორტო კომპანია" (მის: ქ. თბილისი, ვაგზლის მოედანი №2), წარმოდგენილი - მისი შესყიდვების სამსახურის უფროსის ლევან პაპაშვილის სახით, მოქმედებს რა, შპს "თბილისის სატრანსპორტო კომპანიის" გენერალური დირექტორის 31.05.2011 წლის №01-119 ბრძანებით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში (შემდგომში "შემსყიდველი")

და მეორეს მხრივ,

შპს "თეგეტა მოტორსი" (იურიდიული მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №5) წარმოდგენილი - მისი გენერალური დირექტორის გიორგი მშვილდაძის სახით (შემდგომში "მიმწოდებელი")

ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას ავტოტექმომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, შემდეგ თანხაზე: 1660 (ათას ექვსას სამოცი) შემდგომში "ხელშეკრულების ღირებულება".

1. ტერმინთა განმარტებები

1.1. "შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომ "შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.2. "მიმწოდებელი" ნიშნავს პირს, რომელმაც გააფორმა შემსყიდველ ორგანიზაციასთან ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;

1.3. "ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ "ხელშეკრულება") შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, მასზე თანდართული, ყველა დოკუმენტით, კერძოდ:

- **1.3.1.** მომსახურების ხარჯთაღრიცხვა - (დანართი №1).
- **1.3.2.** მომსახურების გაწევის ვადები და ადგილი (დანართი №2).
- **1.3.3.** ანგარიშსწორების პირობები და ვადები (დანართი №3).
- **1.3.4.** ტექნიკური პირობა (დანართი №4).
- **1.3.5.** საგარანტიო პირობები და ვადები (დანართი №5).
- **1.3.6.** ტრანსპორტის სარეგისტრაციო მოწმობები.

1.4. "ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.5. "დღე", "კვირა", "თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საფუძველზე მიმწოდებელი კისრულობს ვალდებულებას, მიაწოდოს შემსყიდველს ავტოტექმომსახურება ("ფორდ ტრანზიტი 2,4 TD" სახ. №TTC-998) (შემდგომში "მომსახურება"), ხოლო შემსყიდველი კისრულობს ვალდებულებას, მიიღოს მოთხოვნილი მომსახურება და გადაიხადოს მისი ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით.

2.2. შესყიდვის ობიექტის კლასიფიკატორის კოდი: 50112000.

2.3. გასაწევი მომსახურების დასახელება და ერთეულის ფასი განისაზღვრება მომსახურების ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად (დანართი №1).

3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

3.1. შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი ნებისმიერ ეტაპზე.

3.2. შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების შესრულების კონტროლს ახორციელებს: სატრანსპორტო-სამეურნეო სამსახურის უფროსი ზურაბ ჭალიძე (შემდგომში "ინსპექტირების ჯგუფი").

3.3. ინსპექტირების ჯგუფის ფუნქციებია:

- **3.3.1.** გაუწიოს კონტროლი ხელშეკრულებით გათვალისწინებული გასაწევი მომსახურების ვადების დაცვას;
- **3.3.2.** დაადგინოს გაწეული მომსახურების შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან;
- **3.3.3.** გააფორმოს მიღება-ჩაბარების აქტი მიმწოდებელთან და უზრუნველყოს გაწეული მომსახურების მიღება.

4. მომსახურების გაწევის ვადა და ადგილი

მიმწოდებელი ვალდებულია, მომსახურების გაწევა განახორციელოს მომსახურების გაწევის ვადებისა და ადგილის შესაბამისად (დანართი №2).

5. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

"შემსყიდველი"	"მიმწოდებელი"
შპს "თბილისის სატრანსპორტო კომპანია"	შპს "თეგეტა მოტორსი"
ლევან პაპაშვილი	გიორგი მშვილდაძე
შესყიდვების სამსახურის უფროსი	გენერალური დირექტორი

5.1. მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურება ჩაითვლება მიღებულად მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველზე.

5.2. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია.

5.3. მიღება-ჩაბარების აქტი დგება მომსახურების (ან მისი ნაწილის) ყოველი მიწოდების დასრულების შემდეგ.

5.4. მომსახურების მიღება და საბოლოო შემოწმება ხდება მომსახურების გაწევის ადგილზე.

5.5. მომსახურების (ან მისი ნაწილის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

6. ანგარიშსწორების პირობები და ვადები

6.1. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ლარში, ფაქტიურად გაწეული მომსახურების მოცულობის შესაბამისად, მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტებზე;

6.2. ანგარიშსწორება განხორციელდება ანგარიშსწორების პირობებისა და ვადების შესაბამისად (დანართი №3).

6.3. შემსყიდველი უფლებამოსილია, ხოლო მიმწოდებელი თანახმაა ხელშეკრულების 10.3 პუნქტით დაკისრებული პირგასამტეხლოს თანხა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გამოქვითოს ყოველი მიღება-ჩაბარების აქტის შესაბამისი, მიმწოდებელზე გადასარიცხი თანხიდან.

6.4. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის გადახდაზე პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

7. საგარანტიო პირობები და ვადები

7.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ გაწეული მომსახურება იქნება ხარისხიანი, სწორი ექსპლუატაციის პირობებში არ გამოავლენს დეფექტს და შეესაბამება მომსახურების გაწევის ტექნიკურ პირობებს (დანართი №4).

7.2. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას გაწეულ მომსახურებაზე, საგარანტიო პირობისა და ვადების შესაბამისად (დანართი №5).

7.3. მიმწოდებელი ვალდებულია გონივრულ ვადაში (თუ დანართი №5-ით კონკრეტული ვადა არ არის გათვალისწინებული) განახორციელოს წარმოქმნილი დეფექტის გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.

7.4. მიმწოდებლის მიერ საგარანტიო ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს თვითონ მიიღოს ზომები წარმოქმნილი დეფექტების გამოსწორებისათვის და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება ან გამოქვითოს ეს თანხა ხელშეკრულების მიხედვით მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხიდან.

8. ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

8.1.1. მხარეთა წერილობითი შეთანხმებით;

8.1.2. ხელშეკრულების ვადის გასვლის გამო;

8.1.3. 9.2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

8.2. შემსყიდველი უფლებამოსილია, საწარმოო აუცილებლობიდან გამომდინარე, ცალმხრივად (მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, თუ:

8.2.1. მიმწოდებელი არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს;

8.2.2. მიმწოდებელი სისტემატიურად ან/და უხეშად არღვევს ხელშეკრულების პირობებს;

8.2.3. მიმწოდებელი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევას.

8.2.4. მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

8.2.5. შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება;

9. მხარეთა პასუხისმგებლობა

9.1. მხარეები კისრულობენ ვალდებულებას, აუნაზღაურონ მეორე მხარეს მათ მიერ წინამდებარე ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის ან არასრულად შესრულების შედეგად მიყენებული ზიანი, მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

"შემსყიდველი"	"მიმწოდებელი"
შპს "თბილისის სატრანსპორტო კომპანია"	შპს "თეგეტა მოტორსი"
ფილიპე პაპაშვილი	გიორგი მშვიდობაძე
შესყიდვების სამსახურის უფროსი	გენერალური დირექტორი

9.2. შემსყიდველი კისრულობს პასუხისმგებლობას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანგარიშსწორების ვადების დარღვევისათვის, პირგასამტეხლოს სახით მიმწოდებელს გადაუხადოს გადასახდელი თანხის 0.1 პროცენტი ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის.

9.3. მიმწოდებელი კისრულობს პასუხისმგებლობას: მომსახურების გაწევის ვადებით გათვალისწინებული, ვადების დარღვევის შემთხვევაში, პირგასამტეხლოს სახით შემსყიდველს გადაუხადოს გრაფიკით გასაწევი მომსახურების ღირებულების 0.1 პროცენტი ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის;

9.4. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან:

9.4.1. თუ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით ან/და მხარეები ხელშეკრულების შესრულების პროცესში წააწყდებიან ისეთ ხელშემშლელ გარემოებებს, რომელიც გამოწვეულია მათგან დამოუკიდებელი სხვა ობიექტური მიზეზებით.

9.4.2. ის მხარე, რომელიც ხელშეკრულების 10.4.1 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევების გამო ვერ ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობით აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამომწვევი მიზეზებისა და მისი შესაძლო ხანგრძლივობის შესახებ, ხოლო შეტყობინებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) დღისა წარმოადგინოს ცნობა შესაბამისი კომპენტენტური ორგანიზაციიდან (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომელიც დაადასტურებს წერილში მოყვანილ გარემოებებს.

9.4.3. ხელშეკრულების 10.4.2 პუნქტით გათვალისწინებული პირობების დაცვის შემთხვევაში მხარეები უფლებამოსილნი არიან გადახედონ ხელშეკრულების პირობებს და შეიტანონ მასში შესაბამისი ცვლილება ვალდებულების შესრულების ვადის გაგრძელებასთან დაკავშირებით ან/და ვადამდე შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება.

10. ფორს-მაჟორი

10.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას.

10.2. ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

10.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

11. გამოყენებული სამართალი

ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

12. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

12.1. ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

12.2. დაუშვებელია ხელშეკრულებაში იმგვარი ცვლილებების შეტანა, რომლის შედეგადაც იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

12.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

12.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს შეთანხმების სახით, რომელიც თან დაერთვება ხელშეკრულებას და ჩაითვლება მის განუყოფელ წაწილად.

"შემსყიდველი"	"მიმწოდებელი"
შპს "თბილისის ტრანსპორტო კომპანია"	შპს "თეგეტა მოტორსი"
ლევან პაპაშვილი	გიორგი ბერიძე
შესყიდვების სამსახურის უფროსი	გენერალური დირექტორი

13. ხელშეკრულების სხვა პირობები

13.1. ხელშეკრულების არც-ერთ მხარეს არა აქვს უფლება მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი;

13.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან თითო ეგზემპლიარი ინახება ხელშეკრულების მონაწილე მხარეებთან.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაშია მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2012 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

15. მხარეთა იურიდიული მისამართები და საბანკო რეკვიზიტები

"შემსყიდველი"
შპს "თბილისის სატრანსპორტო კომპანია "
ქ. თბილისი, ვაგზლის მოედანი №2
ტელ: (995 32) 2-93 50 50.
სს საქართველოს ბანკის ცენტრ. ფილიალი,
ა/ა № GE32BG0000000127527201; ბანკის კოდი: BAGAGE22
საიდენტიფიკაციო კოდი: 202886788

"მიმწოდებელი"
შპს "თეგეტა მოტორსი"
მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №5
ტელ: (995 32) 2 24 44 44.
სს თიბისი ბანკი
ა/ა GE80TB0600000024467853; ბანკის კოდი: TBCBGE22
საიდენტიფიკაციო კოდი: 202177205

"TEGETA MOTORS" LTD
TEGETA MOTORS
202177205

"შემსყიდველი"
შპს "თბილისის სატრანსპორტო კომპანია "

ლევან ჯაჯაშვილი
შესყიდვების სამსახურის უფროსი

"მიმწოდებელი"
შპს "თეგეტა მოტორსი"

გიორგი მშვიდობაძე
ბუღალტერი ადმინისტრატორი

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №0300/10/ 367

ქ. თბილისი

„30" 10 " 2012 წელი

დანართი №1

მომსახურების ხარჯთაღრიცხვა

№	დასახელება	განზ	რაოდენობა	ერთეულის ღირ-ბა (ლარი)	საერთო ღირ-ბა (ლარი)
	"ფორდ ტრანზიტი 2,4 TD" სახ. №TTC-998				
1	გადაბმულობა კომპლექტი TRANSIT V347	ც	1	1300	1300
2	გადაბმულობის საკისარი TRANSIT V347	ც	1	220	220
3	მქნევარას საკისარი TRANSIT V347	ც	1	140	140
	ჯამი				1660

"შემსყიდველი"
შპს "თბილისის საავტომობილო კომპანია"

ლევან ჯაბაბაშვილი
შესყიდვების სამსახურის უფროსი

"მიმწოდებელი"
შპს "ტეგეტა მოტორსი"

გიორგი შეკიოლავა
გენერალური დირექტორი

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №0300/10/ 367

ქ. თბილისი "30" 10 2012 წელი

დანართი №2

მომსახურების გაწევის ვადები და ადგილი

- ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2012 წლის ნოემბრის თვისა.
- მომსახურების გაწევის ადგილი: ქ.თბილისი, მიმწოდებლის ადგილსამყოფელი.

"შემსყიდველი"
შპს "თბილისის სატრანსპორტო კომპანია"

ლევან ბაბალიანი
შესყიდვების სამსახურის უფროსი

"მიმწოდებელი"
შპს "თეგეტა მოტორსი"

გიორგი შეგელიდავე
გენერალური დირექტორი

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №0300/10/ 367

ქ. თბილისი „30" 10 " 2012 წელი

დანართი №3

ანგარიშსწორების პირობები და ვადები

- ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშწორების ფორმით.
- ანგარიშსწორება განხორციელდება 15 სამუშაო დღის განმავლობაში, გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტისა და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის (იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი არ არის დღგ-ს გადამხდელი, მის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნეს ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან დღგ-ს არგადამხდელის შესახებ) წარდგენის საფუძველზე.

"შემსყიდველი"
შპს "თბილისის სატრანსპორტო კომპანია"

ლევან ჯაჯანიძე
შესყიდვების სამსახურის უფროსი

"მიმწოდებელი"
შპს "თეგეტა მოტორსი"

გიორგი მშვილდაძე
გენერალური დირექტორი

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №0300/10/ 367

ქ. თბილისი

„30" „10" 2012 წელი

დანართი №4

ტექნიკური პირობა

ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე ("ფორდ ტრანზიტი 2,4 TD" სახ. №TTC-998) უნდა განხორციელდეს შემდეგი ავტოტექმომსახურება:

შეიცვალოს:

1 გადაბმულობა კომპლექტი TRANSIT V347

2 გადაბმულობის საკისარი TRANSIT V347

3 მქნევარას საკისარი TRANSIT V347

"შემსყიდველი"
შპს " თბილისის საკრანსპორტო კომპანია "

ლევან ალადაშვილი
შესყიდვების სამსახურის უფროსი

"მიმწოდებელი"
შპს "თეგეტა მოტორსი"

გიორგი მშვიდობაძე
გენერალური დირექტორი

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №0300/10/367

ქ. თბილისი

"30" "10" 2012 წელი

დანართი №5

საგარანტიო პირობები და ვადები

ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე ("ფორდ ტრანზიტი 2,4 TD" სახ. №TTC-998) უნდა განხორციელდეს სათადარიგო ნაწილების შეცვლა ახლით.

გაწეული მომსახურების საგარანტიო ვადა შეადგენს 1 წელს.

"შემსყიდველი"
შპს "თბილისის სატრანსპორტო კომპანია"

ლევან ძაკაშვილი
შესყიდვების სამსახურის უფროსი

"მიმწოდებელი"
შპს "თეგეტა მოტორსი"

გიორგი მშვილდაძე
გენერალური დირექტორი